

## ია

ია (*Viola*), მცენარეთა გვარი იისებრთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახებია, ზოგჯერ – ნახევრად ბუჩქები. აქვთ მორიგეობით განწყობილი ან ფესვთან როზეტად შეკრებილი ფოთლები, იისფერი, ყვითელი და თეთრი მარტოული ყვავილები. გვირგვინის ქვედა ფურცელი წაზრდილია დეზად, რ-შიც სანექტრეა მოქცეული. ზოგიერთს უვითარდება კლეისტოგამური ყვავილები. ნაყოფი სამსაგდულიანი კოლოფია. ზოგ სახეობას ახასიათებს ამფიკარპია. ცნობილია 500-მდე სახეობა. უმრავლესობა გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში.

გავრცელებულია 26 სახეობა, მათგან 3 კავკასიის ენდემია, ორი კი [სწორრქიანი ი. (*Viola orthoceras*) და სოსნოვსკის ი. (*Viola sosnowskyi*)] – საქართველოსი.

საქართველოში ი. იზრდება ტყეებსა და ბუჩქნარებში, სუბალპურ და ალპურ მდელოებზე, კლდეების ნაპრალებში, ჩამონახვავებზე, ზოგი (*Viola alba*) სარეველაც არის.

ი. დეკორ. მცენარეა (იაჟუჟუნა – *Viola tricolor* და სხვ.). პარფიუმერიაში იყენებენ სურნელოვან ი-ს (*Viola odorata*).

---